577 ~ 9249

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 5 დეკემბერი, პარასკევი
№ 49 (2226)
გამოცემის 49-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედის მძლავრი აკორდი

საქართველოს მშრომელებმა უდიდესი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს: ვადამდე შესრულდა მეათე ხუთწლედი!

ამ დიდ მოვლენასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მშრომელებს მოლოცვა გამოუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა.

პირველ დეკემბერს საზეიმოდ მოირთო მთელი საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი. დედაქალაქის კონსტიტუციის მოედანზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, გაიმართა სახალხო მიტინგი. მთელი ჩვენი ხალხის განწყობილება გამოხატა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ:

„ალბათ ძნელია გამოხატო ის აზრები და გრძნობები, რომლებსაც აღგვიძრავს ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თბილი და გულითადი წერილი, მისი მოლოცვა, მისი ბრძნული რჩევა-დარიგება და მითითებები, რეკომენდაციები და სურვილები. ძნელია დაიოკო გულის სიღრმიდან ამოხეთქილი წრფელი მღელვარება, როცა ამ სტრიქონებს კითხულობ“...

ხუთწლედის ბოლო აკორდი მძლავრად გაისმა რესპუბლიკაში. იგი გამოხატავს ჩვენი ხალხის გმირული შრომის დიად პათოსს, ჩვენს შემართებას, ჩვენს მტკიცე დარაზმულობას რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ჩვენს მზადყოფნას მთელი ნიჭი, ძალა და შთაგონება ვუძღვნათ დიად სამშობლოს.

ეს გამარჯვება, გამარჯვება მეათე ხუთწლედისა, ახალ ძალას გვმატებს, რადგან მეათე ხუთწლედის წარმატებით დასრულება მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებით დაწყებას ნიშნავს. მეთერთმეტე ხუთწლედი კი უკვე იწყებს თავის ძლევამოსილ სვლას: დღეს ყველა საბჭოთა ადამიანის ყურადღება მიპყრობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისაკენ, რომელშიც მოწონებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. პროექტი მთელი საბჭოთა ხალხის განსახილველადაა წარმოდგენილი, რათა მან სრულად გამოხატოს მთელი ხალხის სურვილები და განწყობილება, ჩვენი უსაზღვრო შესაძლებლობანი, ჩვენი დღევანდელი დღე და მომავლის ნათელი პერსპექტივები.

როცა ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე ვფიქრობთ, არ შეიძლება პირველყოვლისა არ გავიხსენოთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ხალხი, ვინც დარსა თუ ავდარში, ზაფხულში თუ ზამთარში ძალას და ენერგიას არ იშურებს. გამარჯვების გამომხატველი საამაყო ციფრების მიღმა დგას შრომისმოყვარე ქართველი კაცი... დგანან ქართული ოჯახები, ქართული სოფლები, უძველესი თუ ახალი ქალაქები, სადაც საუკუნეთა მანძილზე არაფერი შექმნილა დიდი გარჯის, შემოქმედებითი წვის, შთაგონებისა და, რაც მთავარია, სამშობლოს მძაფრი სიყვარულის გარეშე.

ეს გამარჯვება გამოხატავს ჩვენი ხალხის ჯანსაღ განწყობილებას, რწმენის სიმტკიცეს, ნდობას დღევანდელი დღისადმი და ოცნებას მომავალზე.

სწორედ ამ შემართების, ამ თავდადებული შრომის, მშრომელი კაცის სულიერი სილამაზის გამოხატვას, ხუთწლედის ეპოქის მხატვრული მატიანის შექმნას ესწრაფვოდა ჩვენი მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი და კინო. როცა ჩვენი ხალხის გამარჯვებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის მჭიდრო კავშირი, რაც ხუთწლედის მთელ მანძილზე ჰქონდა ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებას ხალხის ცხოვრებასთან. გვახსენდება მწერალთა ბრიგადები ხუთწლედის ყველაზე საპასუხისმგებლო, რთულ უბნებზე, გვალვისა და უამინდობის დროს; მწერალთა შემოქმედებითი მივლინებები დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე, მთასა და ბარში. გვახსენდება მშრომელთა შთაგონებით შექმნილი მომწოდებელი, მოქალაქეობრივი, პატრიოტული პოეტური სტრიქონები; მხატვართა ჩანახატები, მღელვარე პუბლიცისტიკით, პრობლემათა სიღრმით გამორჩეული ნარკვევები. გვახსენდება ინტერნაციონალური ლიტერატურული შეხვედრები და საღამოები, რომლებშიც მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მხატვრული სიტყვის ოსტატები მონაწილეობდნენ და რომლებიც გვინერგავდნენ საამაყო რწმენას ჩვენი მეგობრების თანადგომისა, იმისა, რომ შრომაში თუ ზეიმში ისინიც ჩვენთან ერთად არიან, ჩვენს სიხარულს იზიარებენ.

გამარჯვების საყოველთაო სიხარულის გამოხატულებად გვესმის დედაქალაქის კონსტიტუციის მოედანზე, მრავალათასიან მიტინგზე, თბილისელთა წინაშე ნათქვამი სიტყვები:

„დაე, მზე ყოფილიყოს შენი მუდმივი თანამგზავრი, მშობლიურო ხალხო, მშობლიურო რესპუბლიკავ, მზე პარტიისა, მზე შრომისა, მზე შემოქმედებისა, მზე ძმობისა და მეგობრობისა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქართველოს სსრ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი კმაყოფილების გრძნობით აღიქვა ცნობა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი მოცულობის ზრდის ტემპის დავალებანი.

სასიხარულოა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა კარგი სტარტი აიღეს ხუთწლედის პირველ წელს და ყოველწლიურად უზრუნველყოფდნენ წარმოების განვითარების მყარ და სწრაფ ტემპს. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდა 40 პროცენტით, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა საწარმოო მოწყობილობის გამოყენება. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვებამ წარმოების მთლიან მოცულობაში 21 პროცენტი შეადგინა.

კარგი შედეგებია მიღწეული კაპიტალური მშენებლობის დარგში. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად ვადამდე შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი წლის პროგრამა.

გვახარებს თქვენი წარმატებანი ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში. ამის ნათელი დადასტურებაა სოფლის მშრომელთა მიღწევები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა მესამედით და მეტად, ამაღლდა მისი ეფექტიანობა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და აბრეშუმის პარკის დამზადების დავალებანი.

საგულისხმოა, რომ პროდუქციის მატება ძირითადად მიღწეულია ინტენსიური ფაქტორების და, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზით.

თანამიმდევრულად ხორციელდება მუშაობა მშრომელთა კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ხუთწლედის წლებში აშენდა მნიშვნელოვანი რაოდენობის საცხოვრებელი სახლები, სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებანი, საავადმყოფოები.

თქვენი შრომითი წარმატებები რესპუბლიკის ყველა მშრომელის თავდადებული მუშაობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების უნარიანი, მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად ულოცავს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს შესანიშნავ შრომითს წარმატებებს და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელნი განამტკიცებენ მიღწეულ შედეგებს და კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლებენ წარმოების ეფექტიანობისა და მთელი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას.

ლ. ბრეჟნევი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის გამო—„სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“

1. მოწონებულ იქნეს პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ გამოქვეყნდეს 1980 წლის 2 დეკემბერს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

3. მოეწყოს განხილვა პროექტისა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“ შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, რაიონების, ქალაქებისა და ოკრუგების აქტივის კრებებსა და პარტიული კომენუმებზე, საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური სწავლების სისტემაში, აგრეთვე საუბრები მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ბრეჟნევი.

დიდება მშრომელ ხალხს, შემოქმედ ხალხს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა თბილისში 1980 წლის 1 დეკემბერს გამართულ მიტინგზე

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა საქართველოს მშრომელებო!

დღეს მივმართავთ ჩვენს გმირ მუშათა კლასს, ჩვენს გამრჯე კოლმეურნე გლეხობას, ჩვენს შესანიშნავ სახალხო ინტელიგენციას — ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, მივმართავთ მთელ ჩვენს ხალხს.

დღეს საქართველოს მიწა-წყალზე დიდი, სახიხარულო დღესასწაული დადგა — მოპოვებულია შესანიშნავი გამარჯვება: შესრულებულია მეათე ხუთწლედი!

საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში მომხდარ ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით მის დედაქალაქში — უძველეს და მარად ახალგაზრდა თბილისში ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ მშრომელთა წარმომადგენლები, ჩვენი ყველაზე წარჩინებული ადამიანები: კომუნისტური შრომის დამკვრელები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები, წარმოების ნოვატორები და მოწინავეები. და ამრიგად, დღეს მიტინგზე მთელი ჩვენი რესპუბლიკაა წარმოდგენილი.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ზეიმით აღნიშნავენ აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ყოველ რაიონში, თითოეულ ქალაქსა და სოფელში, ყოველ შრომითს კოლექტივში. ჩვენ ვიცით, რომ ეს სახიხარულო ამბავი ეწვია ყველა სახლს, ყველა ოჯახს.

ამ დიდ გამარჯვებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის, დღევანდელ მიტინგს განსაკუთრებით ამაღლებულ და ზეიმურ განწყობილებას ანიჭებს ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოსალოცი წერილი.

თითოეული ჩვენგანი უურადღებით და დიდი მღელვარებით კითხულობდა ამ წერილს, ისმენდა მას რადიოთი და ტელევიზიით. ეს წერილი უდიდესი სიამაყით აღგვავსებს და ამავე დროს ეხოდენ ბევრს გვავალებს ყველას, გვისახავს ახალ, უფრო პასუხსაგებ ამოცანას.

(ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ წაიკითხა წერილი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, საქართველოს რესპუბლიკის ყველა მშრომელს).

ამხანაგებო!

ალბათ, ძნელია გამოხატო ის აზრები და გრძნობები, რომლებსაც აღგვიძრავს ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თბილი და გულითადი წერილი, მისი მოლოცვა, მისი ბრძნული რჩევა-დარიგება და მითითებები, რეკომენდაციები და სურვილები. ძნელია დაიოკო გულის სიღრმიდან ამოხეთქილი წრფელი მღელვარება, როცა ამ სტრიქონებს კითხულობ.

ჩვენთვის უსაზღვროდ ძვირფასია ის, რომ რესპუბლიკის ცხოვრების ყოველ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას ამჩნევს და ეხმიანება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ასე იყო, როცა ბიდრომშენებლებმა ენგურჰესის პირველი აგრეგატი აამოქმედეს. ასე იყო, როცა ჩვენმა მეჩაიეებმა 400 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ასე იყო, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის

(დასასრული 3ე-2 გვერდზე)

დიდება მშრომელ ხალხს, შემოქმედ ხალხს!

(დასასრული)

მშრომელებმა შარშან სამშობლოს უმნიშვნელოვანესი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულება უპატაკეს.

ამის გამოხატულებაა ის მუდმივი ყურადღება, რომელსაც საქართველოს ხაბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი იჩენენ ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. ამის გამოხატულებაა უდიდესი, ჭეშმარიტად მამაშვილური ზრუნვა ჩვენს რესპუბლიკაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა, რომელიც უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფო საქმეთა გამო მოუცლელობის მიუხედავად მუდამ პოულობს დროს საიმისოდ, რომ თვალთახედვის არიდან არ გამორჩეს მშრომელი ხალხის დიდი თუ პატარა საქმენი, ყოველთვის ხედავს ამ საქმეების მიღმა ხალხს, ცოცხალ ადამიანებს, ამ საქმეების შემოქმედან, იცლის საიმისოდ, რომ განაზოგადოს დადებითი გამოცდილება, მოიწონოს ყოველივე მნიშვნელოვანი, — ყოველივე ყურადსაღები და საგულისხმო, მხარი დაუჭიროს ყველა კარგ თაოსნობას.

და ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თითოეული წერილი მარტოდენ მიღწეულისა და მოძოვებულის შეფასებას როდი შეიცავდა. იგი გვიხასნავდა ახალ, უფრო დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, გვიკვლევდა მათი გადაწყვეტის ახალ, საუკეთესო და უმოკლეს გზებს, გვაფრთობდა და გვიხაზავდა რწმენას, რომ ყველა მიჯნას, რაოდენ რთულიც უნდა იყოს ისინი, წარმატებით დავლაშქრავთ.

ახლა კი მივიღეთ მთელი მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულების მოლოდინი. ვიმეორებ: ეს უდიდესი შრომითი გამარჯვებაა! იგი ღირსეულად აგვირგვინებს მეათე ხუთწლედის ყველა წლიწადს, ამ წლებში მიღწეულ ყველა წარმატებას. ჩვენ გადავლახეთ ყველა სიძნელე და მოვიპოვეთ იგი.

აი რატომ არის, რომ ყველაზე გულითადი, ყველაზე წრფელი მადლიერების პირველი სიტყვებით მივმართავთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, ძვირფას ლ. ი. ბრეჟნევს. ჩვენ განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით პარტიას და მთავრობას, რომლებმაც უკანასკნელ წლებში მიიღეს დადგენილებანი საქართველოს პარტიული ორგანოსაცის, ჩვენი რესპუბლიკის შესახებ, გადაწყვეტილებანი, რომლებმაც განსაზღვრა ჩვენი პარტორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ფუძემდებელი მითითებების მეოხებით დაძლიეს საქართველოს კომუნისტებმა, რესპუბლიკის მშრომელებმა მოკლე ვადაში საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით რესპუბლიკის ეკონომიკის სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში გვქონდა, სწორედ მათი წყალობით მივაღწიეთ დიდ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

სწორედ ასეთი ყურადღებისა და ასეთი მზრუნველობის მეოხებით გავანადგურეთ ვადამდე მეათე ხუთწლედის დავალებანი. წლის დამლევისათვის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მატების საგეგმო დონე თითქმის 4,5 პუნქტით იქნება გადამეტებული, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავლისა — 11 პუნქტით.

რესპუბლიკის ეკონომიკაში ასეთ მკვეთრ შემობრუნებას დასაბამი მისცა დადგენილებამ, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წელს მიიღო თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

ამ ხნის მანძილზე მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი, წარმოებული ეროვნული შემოსავალი, მრეწველობის პროდუქციის გამოშვების მოცულობა წლის დამლევისათვის გაიზრდება თითქმის ორჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია — თითქმის ერთ-ნახევარჯერ. საცალო საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობამ 1972 წლის დონეს გადააჭარბა შესაბამისად 1,5 და ორჯერ. ყურძნის შესყიდვა გაიზარდა 5-ჯერ, ციტრუსებისა — 3,5-ჯერ, ხილისა — 2,5-ჯერ, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — ორჯერ. ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა ხორცისა და რძის შესყიდვა, 2,5-ჯერ — კვერცხისა.

დღეს არ არის აუცილებელი მრავალი ციფრის ჩამოთვლა, მაგრამ არც მათი ჩამოუთვლელობა იქნება. ყოველ ციფრში, თითოეულ პროცენტში ხომ თავმოყრილი და დაკრისტალებულია მთელი ჩვენი ხალხის შეუპოვრობა და სიმტკიცე, თავდადება და შრომითი მამაცობა.

დღეს მზრუნველ მისალმებისა და გულითადი მოლოცვის სიტყვებით მივმართავთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს გმირ მუშათა კლასს, რომელიც იყო და არის ჩვენი საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალა, კლასს, რომლის რეგოლუციურობა, დისციპლინირებულობა, ორგანიზებულობა და კოლექტივიზმი განსაზღვრავს მის წამყვან მდგომარეობას სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში.

მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო მანქანათმშენებლებო, მეტალურგებო, ქიმიკოსებო, ენერგეტიკოსებო, მაღაროელებო და მენავთობეებო, მუსუაკი და ქვების მრეწველობის მუშაკებო, თქვენ, ამხანაგო ინჟინერებო, ტექნიკოსებო, მხამსახურეებო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკებო, მოგესალმებით და სულით და გულით გიხდით მადლობას ხუთწლედში შეტანილი ჭეშმარიტად გიგანტური შემოქმედებითი წვლილისათვის. სწორედ თქვენი გარჯის წყალობაა, რომ მრეწველობის პროდუქციის წარმოება 40 პროცენტით გადიდდა დავალებით გათვალისწინებული 37-41 პროცენტის ნაცვლად, რომ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითი წონა 3-დან 21 პროცენტამდე გაიზარდა, ქვეყანა მიიღეს 700 მილიონი მანეთის ზეგეგმიერ პროდუქციას.

დღეს მინდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ თქვენ კვლავაც მარჯვედ გამოიყენებთ მოწოდებას გამოცდილებას, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებთ სამშობლოს ინდუსტრიულ ძლიერებას!

წლეულდელმა მადლიანმა შემოდგომამ ბარაქიანად დაიბერტყა კალთა — წარმოებულია 900 ათასი და სახელმწიფოს მიეყოდა 800 ათასი ტონა ყურძენი. რესპუბლიკას არ ახსოვს ასეთი მოსავალი! და ვაზის ეს უმაგალითო ხვავიანობა სახელოვანი მევენახეების არა მარტო თავდადებული გარჯის, არამედ უდიდესი გულუხვობის შედეგიც არის.

ნახევარმილიონ ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს ჩვენმა მეჩაიეებმა. მეციტრუსეებმა გადაწყვიტეს ხუთწლედში შეასრულონ ექვსი წლის დავალება. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მოყიდვის ხუთწლიანი გეგმა. სახელოვნად იშრომეს მემანდვრეებმა, მეკარტოფილეებმა, მებოსტნეებმა, მეცხოველეებმა და მეაბრეშუმეებმა.

ყველა რეკორდულ მოსავალშია ჩაქსოვილი თქვენი შეუპოვრობა და სიმტკიცე, თქვენი გულუხვობა, ჩვენო ძვირფასო კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაო, სამეურნეობათშორისო გაერთიანებების მუშაკებო, მექანიზატორებო, აგრონომებო, აგრარიკოსო მეცნიერებო, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებო. უდიდესი საყოველთაო-სახალხო მადლიერების სიტყვებით მოგმართავთ თქვენი შეუპოვარი, ნამდვილად გმირული შრომისათვის.

წარმატებით რომ ასრულებულებთ ჩვენი პარტიის აპრარულ პოლიტიკას, თქვენ დაამტკიცეთ, რომ საძმისადმი მეცნიერული ბოდვა, გამრავლებული რევოლუციური ენთუზიაზმზე, შეიძლება დაეპირისპიროთ ყოველგვარ უამინდობას, ყოველგვარ სტიქიურ უბედურებას.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ხუთწლედის ემბლემაზე გამოსახული იქნება კოშკურა ამწის სილუეტი და მშენებლის მძლავრი ფიგურა. ამის მიხედვით, თუ როგორ იზრდება ჩვენი აღმშენებლობის მასშტაბი, დღითი დღე მატულობს რესპუბლიკაში ამ უმნიშვნელოვანესი პროფესიის ადამიანების პრესტიჟიც. მეათე ხუთწლედში წინა, მეცხრე ხუთწლედთან შედარებით ათვისებული იქნება მესამედით მეტი კაპიტალდაბანდება.

დიდად მადლობელი ვართ თქვენი, ჩვენო ძვირფასო მშენებლებო და მემონტაჟეებო, ჩვენო ხუროთმოძღვრებო და დამპროექტებლებო, ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონებისათვის, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ხუთი აგრეგატისათვის, დიდი ქმნილი მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის ახალი სიმძლავრეებისათვის, საავადმყოფოების, სკოლების, მეტროპოლიტენის ხაზის, გზატკეცილების, ჩაის ფაბრიკების, მეცხოველეობის კომპლექსებისა და ახობით სხვა ობიექტისათვის.

თქვენი ნაღვაწი, ძვირფასო ამხანაგებო, მთელ ხალხში იწვევს თქვენდამი უდიდესი პატივისცემის გრძნობას, ვიცით, რომ კვლავაც მაღალპროფესიონალურად გააუმჯობესებთ მშენებლობას.

ახლოთვე დიდი პატივისცემით ვეკიდებით იმათ შრომას, ვინც დღედაღამ უზრუნველყოფს ჩვენი სატრანსპორტო არტერიების შეუნელებელ მაჯისცემას. დღეს გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენ, ჩვენო სახელოვანო ტრანსპორტის მუშაკებო, ყველას, ვინც ერთგულად იცავს თაფის სახელოვან ტრადიციებს.

რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტის მუშაკებო! ღირსეულად ვაფასებთ თქვენს წვლილს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში და დარწმუნებული ვართ, რომ კვლავაც გაზრდით რიტმულობას სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ამ უაღრესად პასუხსაგებ დარგის მუშაობაში.

ხაბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის დასახული პარტიის სტრატეგიული ხაზის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მომსახურების სფეროს, დღეს გვსურს მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებო, ძნელი, ხალხისათვის ესოდენ საჭირო შრომისათვის. თქვენ წარმატებით ასრულებთ საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გადიდების დავალებებს, და ხუთწლედის მანძილზე ეს მაჩვენებლები შესაბამისად 1,8 და 1,6-ჯერ გაზრდილან.

დარწმუნებული ვართ, რომ უკვე უახლოეს მომავალში შეძლებთ მკვეთრად აამაღლოთ მომსახურების კულტურის საერთო დონე, კიდევ უფრო მტკიცედ და შეუპოვრად გაანაღლოთ ბრძოლა არსებული ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოგლენების წინააღმდეგ.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს უდიდეს მადლობას ვუძღვნით ჩვენი სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მადლობას მოგახსენებთ თქვენ — მეცნიერებო, პედაგოგებო, ექიმებო, ლიტერატორისა და ხელოვნების მოღვაწეებო. თქვენ ამრავლებთ რესპუბლიკის ინტელექტუალურ პოტენციალს. ძნელიაა ჩვენეული წვლილი მეათე ხუთწლედის დიადი გეგმების განხორციელებაში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს წვლილი ნამდვილად უზარმაზარია!

მადლობელი ვართ თქვენი ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომებისა და პრაქტიკული ნამუშევრებისათვის, ახალგაზრდა ცალის აღზრდისათვის, ხაბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის, მხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომლებშიც განსახლერებულია ჩვენი თანამედროვე, მისი გმირული შრომა.

ეჰვი არ გვეპარება, რომ მთელ თქვენს ცოდნას, ძალღონესა და ნიჭს მოუხმართ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ოპტიმისტურად შევყურებთ მერმეს, რადგან გვჯერა ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობისა, ვიცით, რომ იგი პარტიის, კომუნისტური იდეალების უსაზღვროდ ერთგულია. დღეს ჩვენი მუშა და სოფლის, მეცნიერი და შემოქმედი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს გიხდით ყველაზე გულთბილ, ყველაზე გულითად, მამაშვილურ მადლობას თქვენი ვარჯისთვის, თქვენი სურვილისათვის — ღირსეული წვლილი შეიტანოთ პარტიის დიად წინასწარმეტყველთა შესრულებაში, კომუნისტურ მშენებლობაში.

დაახლოებით 800 დამკვრელური მშენებლობა, რომლებსაც შეფობას უწევს რესპუბლიკის კომკავშირი, ათეულ ათასობით ახალგაზრდა წარმოების მუშაკი, რომლებიც შრომობენ მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში, სტუდენტური სამშენებლო რაზმები და მოსწავლეთა რაზმები, რომლებმაც მარტო ამ ზაფხულს 50 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოები შეასრულეს — ყოველივე ეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის გმირულ საქმეთა სახელოვანი მატიანის ფურცლებია. შრომაში, სწავლაში, ბრძოლაში გადიან აღზრდის სკოლას ჩვენი ახალგაზრდა კადრები — მომავალი ხუთწლედების მთავარი რეზერვი.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ, ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო, კვლავაც განაგრძობთ საბჭოთა ხალხის რევოლუციურ საბრძოლო ტრადიციებს, ამ უაღრესად პასუხსაგებ დარგის მუშაობაში.

ხაბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში ერთ-ერთი ადგილი ეკუთვნის ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. ეს ასეთი ფენომენია, ასეთი ფენომენია, ასეთი ფენომენია,

მწერლის მართალი სიტყვა

სერგო ყურაშვილი

გამოჩენილ ქართველ მწერალს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მუდამ ამოძრავებს შეუნელებელი ინტერესი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის მწვავე მოვლენებისადმი და აქ ამეღვნებს მწერლის დიდ პუბლიცისტურ ალღოს. სწორედ ამ თვისებებით ხასიათდება მისი აღიარებული წიგნი „რა მოხდა აბაშაში“ და ახლახანს გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ქართული სოფლის ეპოპეა „მთას დაუბრუნდა მთიელი“.

მკითხველს უმალვე გულზე მოხვდება ამ წიგნის შესავალი:

„ნოველა, მხატვრული ნარკვევი, პუბლიცისტური წერილი, ზოგჯერ უბრალო რეპორტაჟიც კი... ფორმას მასალის ბუნება და სილრმე მკარნახობდა, კარსმომდგარი დღესასწაული კი შთაგონებად მექცა...

ასე დაიწერა ეს წიგნი ქართული სოფლის ჭირსა და ლხინზე“... საყურადღებოა ისიც, რომ ორივე ნაწარმოები სწორედ გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა — ფართო მკითხველმა მიიღო მწერლის მიერ დახატული ჩვენი სინამდვილის ცოცხალი სურათები.

ოთხმოცდაორი გმირი-პერსონაჟით არის დასახლებული მწერლის ეს ახალი ნაწარმოები. და არც ერთი არ ჰგავს — მეორეს.

მშობლიური მხარის მოტრფიალე ქართველი გლეხკაცები არიან ისინი: ნიკა ჯაჯვაძე, დიომიდე აბესაძე, მიხეილ იაშვილი, ლევან გელაშვილი, ზალიკო გელაშვილი. შველივით უმწიკლო გოგონა მზეკო, ძმები მაისურაძეები, ანეტა ჯაჯვაძე, ნიკო ჯობაძე, ნათელა, ცოგი ციხკარიშვილი, არსენა კობაძე და ბევრი სხვა.

გულმოკლულნი ვეცნობით სოფელ ჭერემის ნაღვლიან ისტორიას, როცა თავკაცნი, სამწუხაროდ, უთავოდ მოიქცნენ და ამ „გომბორის კალთებზე შეფენილ სოფლამდე გზა ვერ გაიყვანეს, სამაგიეროდ თვითონ სოფელი აპყარეს და გზასთან ჩაიტანეს“.

მაგრამ სანამ ეს სავალალო ამბავი მოხდებოდა, ჩვენს თვალწინ ცოცხლდება რევოლუციონერთა ნათელი სახეები, ლაგოდეხის ჯანყება, ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ამ ჯანყების ხელმძღვანელთა — მიხეილ იაშვილისა და ზალიკო გელაშვილის სახეები.

ამ წიგნში მკითხველი ხედავს და გრძნობს ხალხურობას, პარტიულობას, ჰუმანიზმს, კლასობრიობას, ღრმა საზოგადოებრივ გარდაქმნებს, რაც განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ხდება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, როგორც მწერალმა, პირველმა მიხედა მიტოვებულ, უღვთოდ მოკლულ მთას და მდიდარი ფაქტობრივი მასალით გვიჩვენა ის, რაც იქ მოხდა, და რაც ახლა ხდება. აქ გამოჩნდა მწერლის დიდი გამოცდილება, ღრმა ცოდნა ქართული სოფლისა. მწერალი უხვად ამზეურებს იდეებისა და აზრების მდიდარ საგანძურს. ნაწარმოებში მხატვრული ნარკვევი, პუბლიცისტური წერილი, ნოველა, რეპორტაჟი აყვანილია მაღალ ლიტერატურულ ხარისხში.

ჭერემჭალაქის გასოფლება, მერე მისი გაპარტახება და ხელახლად გაცოცხლება-აღორძინება! — ამას მოგვითხრობს მხატვრულ ფერებში კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მისი პროზა ჩვენი დროის რეალობის, ცოცხალი სინამდვილის ასახვაა. წიგნი შედგება ნოველებისა და ნარკვევებისაგან, რომელთაც ერთიანი მხატვრული ნებით, აზრით წარმართავს მწერლის ტალანტი. ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი ხალხია, ბარიდან მთისკენ მიილტვის, რადგან ეძახის მამა-პაპათა საძვალე; დადუმებულ მთათა სიჩუმე, ჩანაცრებული კერის გაუნელებელი სითბო.

მწერალმა გაგვაცნო მთიელები — ალალი, გულკეთილი, ხელკეთილი ხალხი, რომელსაც უყვარს საქართველოს მთა-ბარი; ისინი ერთმანეთს შებერებიან მზე და მთვარესავით, ერთმანეთს ავსებენ, ცალ-ცალკე ერთიც დამბლევდება და მეორეც.

ვინ იცის, მიტოვებულ მთებზე მოფიქრალ მწერალს დროშასავით წინ წარუძღვა დავით გურამიშვილის გულდამწველი სტრიქონები: „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს; მეტად მწარედ გული მტკივა, მაყრეულებს და ტანში მზარავს! ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, ალმა მხვნელსა, დალმა მბარავს, ჩემი ცოდვაც მესცემია ჩემს ამომთხრელს, ამამზარავს“.

„მთას დაუბრუნდა მთიელი“ გვარწმუნებს, რომ მწერლის დიდი ცხოვრება გრძელდება. იგი იხედება და ჩვენც გვახედებს ცხოვრების უზარმაზარ სარკეში, რომელშიც ისახება საქართველოს მთა-ბარის პრობლემები, მისი პროცესები — მტკივნეულიცა და სასიხარულოც.

ეს ნაწარმოები შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა პუბლიცისტიკის ნიმუშად, რომლის მთავარი მსჯელობა „იჭრებოდე პრაქტიკულ ცხოვრებაში, ეხმარებოდე ხალხს — უფრო მკაფიოდ შეიგნოს წუთისოფლის აზრი და მისი მიმდინარეობის მიმართულება, ეხმარებოდე, — უკეთესი, უფრო სწორი, უფრო ნათელი და მდიდარი გახადოს ეს ცხოვრება არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც — რა შეიძლება იყოს ამაზე მნიშვნელოვანი და კეთილშობილური?“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

ძნელია, აუცილებლად წაიკითხო წიგნის ის თავები, სადაც მოთხრობილია, თუ როგორი ენთუზიაზმით შრომობს მთაში ახალი გზის გასაყვანად ერთ დროს ამ ბილიკებით ბარად ჩამოსახლებული ხალხი, როგორ ებრძვის და აფეთქებს კლდეებს, რომ გზასთან ერთად თვითონაც თავის ნაბუდარში დაბრუნდეს. მთიელ კაცს სჯერა, რომ არასოდროს, ეს ახალი შარაგზა მთას არ მიუყვანს მტერსა და მტაცებელს... ამ გზის წუალმით რამდენი ათასი ჩეჭტარი, ჯერ კიდევ აუთვისებელი და გამოუყენებელი ტუე და საძოვარი შეემატა საქართველოს სახალხო მეურნეობას, — უკვე „ჩოთქის“ კაცებმა იანგარიშონ“ — წერს მთისა და მთიელთა მემატიანე მწერალი.

თანამედროვეობის სამსახურში დგას „მთას დაუბრუნდა მთიელი“. მასში კონცენტრირებულია დევიზი — ახლებურად ვიმუშაოთ, ახლებურად ვიცხოვროთ, არ მოვწყდეთ მთას, რომელიც ბარის მხარდამხარ დგას. ამ ნაწარმოებში მკითხველი უთუოდ იპოვის გამოძახილს ისეთ კითხვებზე, რომლებიც მას ამა თუ იმ მიზეზით წარსულშიც აღელვებდა და მომავალშიც აღელვებს. ეს ნაწარმოებები ხელს უწყობს კრიტიკული აზრის განვითარებას, რომლის არსი ის არის, რომ ყველას და ყველაფერს არ დაუკრა ტაში, შეებრძოლო შეცდომებს, უკომპრომისო ბრძოლით აღკვეთო ისინი. ამიტომ წიგნი ღრმა პატივისცემის გრძნობას აღგვიძრავს მწერლის შრომის, მწერლის პიროვნებისადმი, რომელიც გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას და მის სატკივარს მკურნალად ეკვლინება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნები ყოველთვის დიდი აზრით არიან განთებულნი, ენა ლაღია და ხატოვანი, ხალხური იდიომატური სიტყვა-თქმებით ზომიერად შეზავებული.

„მთას დაუბრუნდა მთიელი“ კიდევ ერთხელ გვახსენებს თუ რამოდენ მნიშვნელოვანია, რომ მწერალი აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას შეეხსენებოროს. წიგნის გმირები მტკიცე რწმენის, სულით ძლიერი, ცოცხალი ადამიანები არიან. ამ გმირებს არსებითი წვლილი შეაქვს ჩვენი მთის აღორძინებაში, ხოლო წიგნი ქართული რეალისტური პროზის მშვენიერი ნიმუშია.

უეჭველია, ქართველმა მკითხველმა სიამოვნებით შეიტყო პრესაში გამოქვეყნებული ცნობა, რომ 1980 წლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის — „ხუთწლედის მატიანეს“ — მოსაპოვებლად წარდგენილია კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მთას დაუბრუნდა მთიელი“ და „რა მოხდა აბაშაში“.

ამ ეტაპზე ამაზე დიდი პატივი რა უნდა იყოს. გვჯერა, რომ „მთას დაუბრუნდა მთიელი“ გიმარჯვებს.

ცხოვრების წინა ხაზზე

ჟურნალი „ალაშარა“
25 წლისაა

ამ დღეებში აფხაზი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ჟურნალ „ალაშარას“ 25 წლისთავს.

ჟურნალმა მეოთხედი საუკუნის მანძილზე მკითხველთა სიყვარული და აღიარება მოიპოვა. აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის ორგანო, მუდამ განუხრელად მიჰყვებოდა და მიჰყვება კომუნისტური პრესის ლენინურ გზას.

ჟურნალის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს „ალაშარას“ რედკოლეგიის წევრებმა და მისმა პირველმა დამაარსებლებმა დიმიტრი გულიამ, ბაგრატ შინკუბამ, პირველმა რედაქტორებმა მ. ხაშბამ, ი. პაპასკირმა, ი. თარბამ, გ. გულიამ.

აღსანიშნავია, რომ ბევრი ქართველი და აფხაზი პოეტისა თუ პროზაიკოსის შემოქმედებითი გზის დასაწყისი დაკავშირებულია ჟურნალ „ალაშარასთან“. აქ იბეჭდებოდა მათი პირველი ნაწარმოებები. დღეს ისინი არაერთი პოეტური და პროზაული კრებულების ავტორები არიან, მათ ნაწარმოებებს კი თარგმნიან რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ჟურნალი ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით. მის ფურცლებზე მკითხველები ეცნობიან, როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ასევე საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს და ნარკვევებს თანამედროვე ადამიანზე — მუშაზე, კოლმეურნესა და ინტელიგენტზე...

ჟურნალმა „ალაშარამ“ გააცნო აფხაზ მკითხველს თავის მშობლიურ ენაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ტრილოგია „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „უამირი“.

ჟურნალი დიდ ინტერესს იჩენს ახალგაზრდების შემოქმედებისადმი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ — შემდეგ ჟურნალისთვის ერთ-ერთი მუდმივი, პოპულარული რუბრიკა გახდა „ახალგაზრდობის ხმა“, რომელიც გზას ულოცავს ნიჭიერ თაობას.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალმა პირველად დაბეჭდა აფხაზეთის სახალხო პოეტის ბ. შინკუბის რომანი „წარსულთა შორის უკანასკნელი“, რომანი ლექსად — „სიმღერა კლდეზე“, შ. აჯინჯალის მოთხრობა „ახალი მთვარის ღამეს“, რომელთა მიხედვით შემდეგ საბჭოთა კინემატოგრაფიტებმა საინტერესო ფილმები შექმნეს.

ეშმაროტი პუბლიცისტური მგზნებარებით შეხვდა ჟურნალი ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ ცვლილებებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯანსაღ კრიტიკას, ბრძოლას მხატვრულ ლიტერატურაში მაღალი მოქალაქეობრივი პათოსისათვის, ნაწარმოებებს, რომლებშიც განსაკუთრებული სინათლით იკვეთება საბჭოთა ადამიანის სულიერი კულტურა.

საინტერესოდ აშუქებს ჟურნალი აფხაზური ლიტერატურის შემოქმედებით ურთიერთობებს სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურებთან. „ალაშარამ“ საგანგებო ნომრები მიუძღვნა ქუთაისის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეის და სხვა მწერლების შემოქმედებას.

არ შეიძლება ამ საზეიმო დღეებში არ აღვნიშნოთ ჟურნალის ის დიდი დამსახურება, რომელიც მან გაუწია აფხაზ მკითხველებს, როცა პერიოდულად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, ნ. ტიხონოვის, კ. სიმონოვის, ი. აბაშიძის, რ. გამზათოვის, ყ. ყულიევის, ი. ნონეშვილის, მ. ლებანიძის, ნ. დუმბაძის, ჯ. ჩარკვიანის, ა. სულაკაურის, მ. ფოცხიშვილის, ე. ევტუშენკოს, ა. ვოზნესენსკის, ა. დემენტიევის, შ. აკობიას, და სხვების ნაწარმოებთა აფხაზი კოლეგების მიერ შესრულებულ თარგმანებს.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მიესალმება იუბილარ ჟურნალს, ავტორთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, მის მკითხველებს — მშრომელ აფხაზ ხალხს და უსურვებს დიდ შემოქმედებითს წარმატებებს.

მწერალთა კავშირის სექციებში

ამას წინათ საქართველოს მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციამ და კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ მოაწყვეს საჯარო განხილვა გურამ დოჩანაშვილის რომანისა — „სამოსელი პირველი“.

განხილვა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციის თავმჯდომარემ მწერალმა ლადო ავალიანმა.

მომხსენებელმა აკაკი ბაქრაძემ ვრცლად და საინტერესოდ ილაპარაკა მწერლის ახალ ნაწარმოებზე, რომანის გმირთა გალერეაზე, მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მკითხველებმა მარინე მიქაძემ, ვლადიმერ ტოგონიძემ, ვალერი კვარაცხელიამ.

დასასრულ გურამ დოჩანაშვილმა მადლობა გადაუხადა მრავალრიცხოვან დამსწრე საზოგადოებას, ილაპარაკა თავის რომანზე და მსმენელებს გააცნო მომავალი შემოქმედებითი გეგმები.

●

ამას წინათ საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის შეხვედრა მოუწყო აჭარელ პოეტს ლევან ანანიძეს.

საბავშვო და ახალგაზრდული სექციის ბიურომ განიხილა პოეტის საბავშვო ლექსები და მოუწონა გადაწყვეტილება, იმუშაოს საბავშვო მწერლობაში (ის ლირიკული ლექსების ორი კრებულის ავტორია).

სექციის თავმჯდომარემ, პოეტმა ხუტა ბერულავამ, საბავშვო მწერლებმა ქეთევან ჭილაშვილმა, ნინო ბეზარაშვილმა, ნუნუ კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და მზია ჩხეტიანმა ილაპარაკეს ლევან ანანიძის ლექსებზე.

„ჩვენ ვაუქნებთ კომუნიზმს“

მხატვარი და ცხოვრება









საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა რესპუბლიკური გამოფენა — „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“. გამოფენა ეძღვნება სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

წლევანდელი საშემოდგომო გამოფენებიდან ეს ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი, საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოფენაა თავისი თემატიკით და ნამუშევართა აქტუალური ყღერადობით; აქ აშკარად იგრძნობა დღევანდელი დღის სუნთქვა.

გამოფენაში მონაწილეობს ქართველი მხატვრების სხვადასხვა თაობა. ეკსპონირებულია ფერწერა, მოქანდაკეთა, გრაფიკოსთა და გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენელთა 800-მდე ნამუშევარი.

ამ ნამუშევრებში გადმოცემულია ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი დღე, რომელიც შრომითი აღმავლობით ხვდება ღირსშესანიშნავ თარიღს სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

ფერწერული ტილოებიდან გვიყურებენ ადამიანები, რომელთა სახეები შრომის ზეიმით გაბრწყინებულან. საინტერესოა საქართველოს დამსახურებული მხატვრების ნ. ფალავანდიშვილის, ც. შანშიაშვილის და ზ. აბდუშელიშვილის ნამუშევრები, რომლებშიც მხატვრები გვაცნობენ ტყიბულელ მემაღაროელთა ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს. ასევე აღსანიშნავია მოქანდაკეების რ. შეროზიასა და მ. დოხნაძის ნამუშევრები.

მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს დამსახურებული მხატვრების ნ. იგნატოვისა და ა. ჩაგელიშვილის ფერწერული ტილოები, ხოლო დარბაზის შუაგულში გამოფენილი საქართველოს სახალხო მხატვრის თ. ბამხონაძის ფერწერული ტილო „დილა“ იპყრობს თითქოს სინათლითა და მუსიკით ავსებს. შთამბეჭდავია ი. ჩიკვაიძის „სვანეთი დღეს“, რომელშიც მშრომელი ადამიანის აზრი და შემართება ცოცხლად და ოსტატურადაა გადმოცემული.

ამ გამოფენის ერთგვარი გაგრძელებაა გრაფიკოსთა და გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენელთა ნამუშევრების ამახ წინათ გახსნილი გამოფენა მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზებში.

აღსანიშნავია, რომ ახლახანს მხატვართა ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს დამსახურებული მხატვრები დ. ნოდია, თ. უუბანეიშვილი, ლ. ზამბახიძე, ბ. სიხარულიძე, ბ. ბულუაშვილი, ლ. შენგელია, გ. თავბერიძე, დ. ჯაბუა, ა. ხარჩიმელიძე და დ. ვარამაშვილი შემოქმედებით მივლინებით რუსთავში იმყოფებოდა. და სწორედ ამ მივლინების ნაყოფია გრაფიკული ნამუშევრების ის სერია, რომელიც მხატვრებმა გაქოფინეს. ნამუშევრები ყურადღებას იქცევენ თემატური მრავალფეროვნებით, მაღალი ხელწერით, უნარით, დაინახონ და ტილოზე გადაიტანონ მეფოლადეთა თუ მშენებელთა ძნელი, მაგრამ საინტერესო და ვაჟკაცური საქმიანობა.

გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საუკეთესო ნამუშევრები გაიგზავნება მოსკოვში, სადაც 15 დეკემბერს იხსნება საკავშირო გამოფენა.

გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, მხატვართა კავშირის მდივანი რ. თოდრია, ხელოვნებათმცოდნე გ. მახხარაშვილი, პოეტი ხ. ბერულავა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

ლიტერატურული საქართველო, 5 დეკემბერი, 1980 წ.

კარლო კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის ლურჯი რვეული. დიოსკურია

●

დაცარიელდა ჩემი სახლ-კარი,
ანდერძი ვანდო — კაცი არ დარჩა,
მაგრამ ერთხელაც არ თქვათ: „სანყალი
ბედმა გასწირა, ბედმა გატანჯა“.
მიწვავს წამწამებს არა ჯავრი და არა ცრემლი,
გულჯავრიანმაც კარგად ვიცი, ბედი — ბედია!
მაგრამ კვამლსა და ნაპერწკლებში ნკრიალებს გრდემლი
და ბედიც, ბედიც განა ერთხელ გამიჭედია!..
მყოფნის სიცოცხლის ძველი ხალისი
საბედისწეროდ და საიმედოდ
და, აბა, თქვენი შესაბრალისი
რა მჭირს — სამძიმრის თქმა გამიბედოთ!
რაა თუ ჩემი მოლოდინი ბნელმა გატანჯა —
მაინც სიმღერით გაჩაღდება ცივი ნყვდიადი.
ასიათასი სიტყვა ჩემი, სიკვდილს გადარჩა,
ჩემი ვარსკვლავებმოჭედილი ცის განთიადი!

არა, ეს არაა ლეგენდა

არა, ეს არაა ლეგენდა ელადის.
ზღვის ფსკერზე ოქროსთმიანი მზე დადის...
ეს, როგორც იტყვიან, ქვის ფირზე წერია,
ჩავიცქერი სამოცდაცამეტი წელია!
არა, ეს არაა ლეგენდა ელადის,
ზღვის ფსკერზე მინახავს ნამსხვრევი ხელადის
და ყელზე მიხატულ ძველ-შავის შავ მტევნებს,
მე ვინ ვარ, თვალს მთელი კოლხეთი ადევნებს.
ნუ გამიბათილებთ ოცნებას არათი —
ათასი თოლია, ათასი ბარათი
ფრთებ-გაშლილი ტრიალებს აქ დასაფრენადა
დაეძებს ჩვენს ქალაქს ისე ვით ელადა.
და ცად მოფარფატე ფრთა-თეთრი თოლია
ამღამით ნაწერი ფურცელიც მგონია.
ვინ იტყვის, მეც იმდროს ქვებში არ მეძინა —
ზღვა რომ შემოვარდა, ზღვა რომ შემეცილა!
ახლა არც ღელვაა, არც ელვა, არც ქარი —
დუმს დიოსკურიის ნიაღი დამცხარალი.
მაშ, ვის-ღა დღე-დახშულ სარკმელებს თუ არა —
ოცნებამ გუნდ-გუნდად ვის გადაუარა?!
— ეჰეი ბარათო, ეჰეი თოლიავ,
ზღვის ფსკერზე ყოველი ქვა გულის ტოლია!
გგზავნიან, ვინ იცის, ვინ იცის საიდან
და ნუთუ წარღვნათა ბნელში არ ჩაიტან
ჩვენი ცის, ჩვენი მზის შუქსა და სიყვარულს —
წაშლილ და წარუშლელ ღრუბლებში მიკვალულს!?
არა, ეს არაა ლეგენდა ელადის,
ერთი დღეც არაა იმ დღიდან ჩვენამდის...

საშემოდგომო მიპატიჟება

ბარათი ნოდარ დუმბაძეს

ხილს მე ხის ყველა ტოტი დამპირდა,
ბაღს რომ ვუცქერი — გული მიცინის:
ნეტავ, ამდენი ხილი რად მინდა,
ამდენი გრილი ჩერო ხისძირის!

გამვლელ-გამომვლელს აღარ ვუძახი,
მძულს კიდეც მაცდური კრინს გავუგონო.
მოლზე, მაშ, ნესვი და ხაპურძაკი
ღიმილ-ღიმილით ვის გავუგორო!?

სად მარტოობა, ნოდარ, და სად მე!
დღე დამიბურდეს ხეთა რტოებმა.
თუ ერთი წუთი ხელთ იგდო — დათმე,
და ერთად დავწვათ ეს მარტოობა...

ჩემს ბაღ-ვენახში ახლა რთველია
და ცად აღვსდგები აქ რომ გიხილო,
ხმაც გულში ბაღის ჩამხატველია
ოღონდ დრო იყოს, დრო საღილინო!

ნოდარ, ამ დილით შენი ჩიტების
თავგადასავალს მეც ვიხსენებდი:
აღფრთოვანების და გარინდების
წუთი ერთია, ერთი სვე-ბედი!

განა ტოროლა, განა მზეწვია
ეცდება ავი ხმა გამივრცელდეს —
მაგრამ, ვგრძნობ, ხელი გადაეჭვია
უკვე მოკითხვის ბარათებს ნერდეს.

მკითხაობაა, მარჩიელობა!
თორემ ბარათებს, ამ ზღვის თოლიებს
აქვთ მიმოვლილი მთელი ევროპა
შინ საოცნებოდ ვინ იყოლიებს!?

ჩამოდი. ბაღს რომ შეხვედრის წამმა
თვით შეაფრქვიოს ელვა თვალების.
დაწყნარდეს იქნებ კარდიოგრამა
ჩვენი კი არა — ზღვის მღელვარების...

ჩავუჯდეთ ზღვას და ერთი ჩავლილი
ტალღაც რომ კიდევ გადავინეროთ —
მზე თან ჩაჰყვება სტრიქონს ჯავრივით,
რომ უმზეობა არ დავიჯეროთ,

დავხედოთ ჩაფებს პირმაჭრიანებს,
თუ არა — რთველი რაღა რთველია, —
ახლა ჩემს ჭიშკარს ვინც აჭრიალებს
ბეჭებში ჩემი გამმართველია!

ყურძენი ცად ვის გადავუნახო,
გიდელი ცაში განა ცისაა...
აქა-იქ ლექსის ამბარიც თუ ნახო —
დაჰკრიფე — კარლო კალაძისაა!

ჩიტები

მე თვალს ვადევნებ დაბეჯითებით,
სადღაც, აქ ჩემი წუთიც ფრთხიალებს, —
ჩემი სულისთქმით, ჩემი ჩიტებით
მეც ავყოლილვარ ქუდბედიანებს!

დღის სიმწვანეში თვალს ვინ არ ახელს
და მეც ყოველთვის, როცა შინ მივალ —
ყოველთვის მახსოვს, როგორც ქალაქელს,
მაინც რომ ჩემი სოფლის შვილი ვარ!..

არც ჩიტის ცქმუტვა-ფრთხიალი არ მღლის,
არც ხე და ღობე ეკალ-მაყვალა!
მიყვარს სიცოცხლე! კაცი ვარ ამხნის,
და არ კი ვიცი რამ შემაყვარა!..

გალობს ჩემს ჭერ-ქვეშ გალიის ჩიტი,
და ჩხართვიც სუროს მიიჩნევს ჭერად.
ნიბლიებს ჩემსას, ჩემი აქვთ რიდი
და ჩემი კალმის ნათქვამი სჯერათ.

აჰა, ტოროლაც, კვლავ ჩემი ცისკრის
და ჩემი სიზმრის გამღიმებელი!
და შენ კი, ჩემო კოდალავ, რისთვის
რისთვის გასწირე კაცი ბებერი!?

ვის რას ახსენებ შენი კაკუნით,
მითხრას სილაღე ვინც მინყალობა,
რა გულით შევხვდე სოფელს, რა გულით —
მსურდეს ტოტების გაშლა, გალობა!?

●

აი სეირი, აი ზღაპარი, აი რაც მინდა გითხრათ, რაც არა...
ვარ მეც ამ ჩიტის ნამოწაფარი. ჭიკჭიკს მასწავლის ჩიტი პატარა.

ტყეედ, სასმელ-საჭმელს იგი არ ეძებს, ყუჩად ჩემს ცისფერ
გალიაშია —
კენკავს ფეტვის და ნამცხვრის ნამცეცებს, გუბეებს პეშვი ნყალი
არჩია

და ისე გალობს გალიის ჩიტი — იფიქრებ ცაში
შეიფრთხიალა, —
აღმოჩენაა და მაგალითი ჩემი გალიის, ჩემი კი არა!

საარაკოა მართლაც მისი ხმის ახლა ამგვარი გასაოცრება —
ყოველთვის გულის თრთოლვად იქ ისმის, სადაც მოემწყვდა
ლაღი ოცნება!

და მინდა ვაქო მეც არჩევანი ოქროს-ნისკარტა ჩიტის ჭიკჭიკით...
ღვინოს მპირდება ყურძნის მტევანი აქვე, ჩემს ბაღში, განა
მთისიქით.

აქ უნდა იყოს ჩემი ნაკრძალი

ვ. ონიანს

აქ უნდა იყოს ჩემი ნაკრძალი,
ქორბუდიანად ვიყო აქ მინდა.
აქაა ჩემი მიწა და წყალი,
ჩემი ზღვისპირი, ჩემი მთაწმინდა!

შენც ნუ იქნები, ილბალო, მკაცრი
და აქვე სადმე ენგურის ახლო,
მე რომ ვარ, ისევ ისეთი კაცი
ცოდვაა კიდეც არ დაასახლო.

ვეტყვი: მოკეთევ, აქ თუ ჩამოხვალ
შენც ხელისგული, გეყოფა ეზოდ.
მიმოვიხედოთ გაღმა-გამოღმა,
გაზაფხულია, ვკაფოთ და ვთესოთ!

მერე მკათათვის, მერე თიბათვის,
მერე მწიფობის თვეცაა ლაღი,
მკლავებგაშლილი ახლაც იმათთვის
ვისაც ზღვისპირად ინატრებს ბაღი!

ჩამოდი. დარჩეს მთას ნამუხლარი,
დარჩეს ზეცაში უშაულს და ქალდეს.
აჰა, კოლხეთი, აჰა, მუხნარი,
დასახლდი, სადაც კი გაგიხარდეს!

ვახტანგო, მეც არ დამვინყებია
სვანობა ჩემთა მამა-პაპათა,
იქნებ ენგურის ერთი შხეფია —
მაგრამ წარსულთან შემაკამათა.

მხარგასაშლელი სხვაგან სად ჰქონდეს,
ვახტანგ, მიწაზე დაცემულ ჩემს გულს...
ჩამოდი, გულდა თუ მოგაგონდეს,
შენც ჩამოჰყევი მთადამთა ენგურს.

ვარდ-ყვავილები აქედან ვიდრე
ზღვაში ჩასული დიოსკურია —
მე შევიყვარე, მე დავიმკვიდრე
და თუ ჩემი ჭის წყალი გწყურია,

ჩამოდი. სანდო ფუძის ქვაც არი
როგორც უღრუბლო ცაა სანდობი.
აქაა დიახ, ჩემი ნაკრძალი
და არა უცხო თვალთ-გასართობი.

ჩემია წლების ეს ასეული
არც ვუღალატებ, არც მიღალატებს!
ვით ტალღა ჯურღმულს თავდაღნეული
ხან იმ მთებს გავკრავ ტალ-კვეს ხან ამ მთებს!

ჩამოდი, ჩემო, ახლა ამ სოფლად
ზღვას თავი ჩვენი ჩვენც გავახსენოთ.
დავსხდეთ ჩაძირულ დღეთა მახლობლად.
ხელახლა ვხატოთ. ხელახლა ვნეროთ.

სიცოცხლით სავსე კაცი როცა ხარ

სიცოცხლით სავსე კაცი როცა ხარ,
გლოცავენ ცის და მიწის ღმერთები.
თუ ციდან ჩიტმა არ ჩამოგძახა —
გულღიაც იყო — ვერ ამღერდები!

დიახ, შეიბნენ შაშვნი, კაკაბნი,
დიახ, ტოროლა ცაში აფრინდა,
ბერი-ბულბულიც, ვიგრძენ, ხმა-გაბმით
ჩანგს და სალამურს დამიჯაბნიდა...

და მე ვინატრე წყნარი საღამო,
ხმა მოლაღურის, ხმა ნაღვლიანი,
თუმცა-ღა უთქმელ დარდისა გამო
აგერ არ მღერის ადამიანი.

მაშ, გაიღიმე, თუ მოახერხებ,
თუ საქრთველოს მთებს თვალ-ტანადებს
ნაბად-ნახურვით ჩანოლილთ ხევ-ხევ
შენი ღიმილის შუქი ანათებს...

როცა ენგურის კლდე-ღრეებს შიგნით
შენც განა ლაღი მაჯა არ გიცემს?!
კოლხური ცულით ხის გამოჩორკნილ
კერპსაც მღვიმეთა გრგვინვა აღვიძებს.

მთებს შუა ჩადგეს დიდი კაშხალი
და ტალღა ტალღას ედიდგულება,
მისებრ არაა დღესაც დამცხრალი
ცეცხლის მფრქვეველი შენი გუნება.

არდაღამებულს ამ ცით, ამ ჭაღით
თუ გიძებნია ქვეყნად რაცა გსურს —
კაკბის გოგმანით, შაშვის ჭახჭახით
დაე ჭალებიც დახვდნენ გაზაფხულს...

ტოტებზე სხედან პატარ-პატარა
საგალობლების მთქმელი ღმერთები.
და შენც იმათებრ სად ხარ, სად არა —
აქ ან სულს დალევ, ან ამღერდები!

პავლე ინგოროყვას საღამო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერალთა წრისა და სტუდენტთა ლიტერატურის სამეცნიერო წრის ინიციატივით მოეწყო პავლე ინგოროყვას საღამო.

საღამოზე გამოვიდნენ რევაზ ბარამიძე, აკაკი ბაქრაძე, რევაზ თვარაძე, ტარიელ კვანტალიანი, ნიკა სანებლიძე, რევაზ სირაძე, როსტომ ჩხეიძე, სერგი ჭელაია.

გულთბილად აღინიშნა ის ღიდი ღვაწლი, რაც პავლე ინგოროყვამ, როგორც მრავალმხრივმა მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ, დასდო ქართულ კულტურას.

პავლე ინგოროყვა იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსებისა; მისი რედაქტორობით გამოდიოდა 20-იან წლებში ჟურნალები „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“.

პავლე ინგოროყვამ რამდენჯერმე გამოსცა ილიას ტომეულები (პირველი გამოცემა შესძღერ ჯერ კიდევ 20-იან წლებში), ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას თხზულებანი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, სასულიერო პოეტური ძეგლები, სვანეთში მოპოვებული ისტორიული ძეგლები, ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა მრავალი, და ყველა მთელი მეცნიერული აპარატურით: წინასიტყვაობებით, ვარიანტებით, შენიშვნებით, სქოლიოებით, დანართებით.

პავლე ინგოროყვას ეკუთვნის ისეთი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა, როგორიცაა „ძ

მ ე ლ ო რ ს ტ უ რ უ ა

ზ ვ ა ვ ი

ფიქრები ამერიკაში ჩატარებული არჩევნების შემდეგ

...ერა სწრაფად და რა ნელ-...ბარის დრო!

...ერიკის შეერთებული შტატე-... ოცდამეცხრამეტე პრეზიდენ-...ბა, დასავლეთის ყველაზე უფ-...რო გავლენიანმა სახელმწიფო მოღვაწემ, ვერ შესძლო გიმეო-...რებინა ბიბლიური სასწაული — ვერ შეაჩერა მზე. ერთადერთი, რაც კი შეეძლო ჯეიმს ერლ კარ-...ტერ-უმცროსს, — ის იყო რომ გამალებული მისდევდა მზეს, ატლანტის ოკეანედან წყნარ ოკეანემდე, გამწარებული ცდილობდა გაეხანგრძლივებინა დღე და თუნდაც მცირე ხნით გადაედო გარდაუვალი მოსვლა ღამისა. თხუთმეტი შტატის ოცდაექვსი ქალაქი და თხუთმეტი ათასი მილი მაერში — მარტო ბოლო კვირაში. ოცდათხუთ საათი და შვიდი ათასი მილი — ბოლო დღეს: ვაშინგტონიდან ოჰაიოში, მერე მისურიში, იქიდან ილინოისში, კვლავ მისურიში, დასასრულ, წყნარი ოკეანის სანაპიროზე — სულ ბოლოს — ჯორჯიაში, არაქისის პლანტაციებს შორის მიკარგულ შშობლიურ პლეინსში.

ორშაბათი ნავსი დღეა. მაგრამ პრეზიდენტი მაინც ეხლაუკეთდა იმედს, როგორც წყალწაღებული — ხავსს. გვიან საღამოთი, როდესაც „ბუს-1"მა თავი დააღწია საავდრო ღრუბლებს და ვაშინგტონის შტატში, სიეტლზე დაშვება დაიწყო, დედაქალაქში დარჩენილი მთავარი სტრატეგი და პრეზიდენტის მარჯვენა ხელი ჰამილტონ ჯორდანი რადიო-ტელეფონით დაუკავშირდა თეთრი სახლის პრეს-მდივანს ჯოდი პაუელს, რომელიც პრეზიდენტის თვითმფრინავში იმყოფებოდა. ჯორდანს აღელვებული ხმა ჰქონდა და პაუელმა სიტყვები ვერ გაარჩია, თანაც დაშვებისას სატელეფონო კავშირი შეწყდა. ისინი კვლავ შეაერთეს ცოტა მოგვიანებით, როდესაც კარტერი სიტყვით გამოდიოდა საავიაციო ანგარშიენთუზიასტ-მომხრეთა წინაშე. ჯორდანმა ამცნო პაუელს, რომ თანახმად საზოგადოებრივი აზრის ფარული გამოკითხვისა, რომელიც წინა დღეს ჩაატარა პატრიკ კეიდელმა, კარტერი ათი პუნქტით ჩამორჩება რეიგანს; რომ ჩამორჩენის დინამიკა არაშექცევადია და არჩევნების შედეგი წინასწარვე გადაწყვეტილია.

პაუელი დაიბნა. მან ვერ გაუბედა პრეზიდენტს მოეხსენებინა ჯორდანთან ნალაპარაკები. როდესაც ლაინერმა „ბუს-1" პლეინსისკენ აიღო კურსი, პაუელი როგორც იქნა მარტოა დარჩა პრეზიდენტთან, — „გუბერნატორო, — უთხრა მან, — თქვენ წაგეთ". („ჯორჯიას მაფის" წევრები კარტერს ინტიმურ წრეში ძველებურად გუბერნატორს ეძახდნენ). პრეზიდენტს თავზარი დაეცა და თავდაპირველად არ დაიჯერა. მერე ერთბაშად მოეშვა და ატირდა.

ტრაგედიაა? ან იქნება კომედიაა, რომელიც დასრულდა? ყველაფერი ფუჭი გამოდგა — ათასობით მილი, მილიონობით დოლარი, მილიარდობით სიტყვა. თვითმფრინავს ქვეშოთ გაწოლილი შემოდგომის ფერებით აბრიალებული ქვეყანა უარს ამბობდა მორიგი ვადით გაეგრძელებინა მისთვის მანდატი. ამაში, მხოლოდ და მხოლოდ ამაშია მისი ქვეყანა დღეს ერთსულოვანი. მიხმა ბედნიერმა მეტოქემ რონალდ უილსონ რეიგანმა ზუსტად გაიანგარიშა დარტყმა. „როდის ცხოვრობდით უკეთესად — ამ ოთხი წლის წინათ თუ ახლა? გინდათ კიდევ ოთხი წელი კარტერის მმართველობაზ?" — ეკითხებოდა იგი ამერიკელებს თავის ბოლო სატელევიზიო სარეკლამო სიტყვაში. თავისთავად მეტყველებდა ამ კითხვების პასუხები: „წინათ" და „არა". არა იმდენად რწმენა მომავლისა, არა იმდენად „ჰო" რეიგანს, *რამდენადაც ვორტუმი უნდობლობა იმის მიმართ, რაც იყო, და იმის მიმართ, ვინც იყო.

კარტერი თავისი წარუმატებლობის მიზეზს ეძებდა ყველგან, სადაც გნებავთ, ოღონდ თავის თავში კი არა. ირგვლივ დამნაშავე იყო ყველა, ოღონდ თვითონ კი არა. ვაცნი განტევებისანი მეტნი იყვნენ, ვიდრე თვით „მინნტმენის" რაკეტები, სოციალიზმის სამყაროსკენ დამიზნებული. „სახეგოური საფრთხე", — ფიდელ კასტრო და ალაითოლა ჰომეინი, უმადური მოკავშირეები და არასაიმედო ვასალები და, დასასრულ, მთელი ამერიკა, ყველა ამერიკელი! დიახ, დიახ, სწორედაც რომ ყველა, უკლებლივ. 1979 წლის ივლისში წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა, რომ მთელი ერი ავადაა, „შეუძლოდაა", და თავი თავისადმი, თავისი პოლიტიკისადმი კრიზისში დაინახა „ფუნდამენტური საფრთხე, ამერიკულ დემოკრატიას რომ ემუქრება". ორას ოცი მილიონი ამერიკელიდან მარტოოდენ იგი — პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი მიჰყვებოდა ცხოვრებას ფეხდაფეხ. მან აღუთქვა დაცხრომა ინფლაციისა და ფასების ზრდის შეჩერება, უმუშევრობის შემცირება და ქვეყნის ხსნა ერთ წერტილზე გაყინვა-დაცემისაგან; აღუთქვა შეიმცირებინა პენტაგონის ბიუჯეტი და ბოლო მოეღო გამალებული შეიარაღებისათვის. მაგრამ აი გავიდა ოთხი წელი და მან ქვეყანას დაუტოვა რეკორდულად მაღალი ინდექსი „ტანჯვისა და სიღატაკისა" (თვით კარტერის ტერმინი) და რეკორდულად მაღალი სამხედრო ხარჯები.

რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების პრეზიდენტი სასწაულმოქმედი არაა. მარტოხელა კაცს მეომარი არ ეთქმის. მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი იბრძოდა არა იმისათვის, რასაც შეპირდა, არამედ დანაპირების საწინააღმდეგოდ. საკვირაო მორალური ქადაგებანი ორშაბათობით იქცეოდა მძიმე ნაბახუსივად, ოღონდ არა მოკაჟადგასახათვის, არამედ მთი სამწყსოსათვის. „გამიგონეთ, — უთხრა მას ზანგმა ჯაბუკმა ერთერთ წინასაარჩევნო მიტინგზე, — ამერიკას საბჭოთა კავშირი კი არა, მე ვიწვევ ბრძოლაში. მე საბუშაო არა მაქვს. მე და ჩემი ოჯახი სასურსათო ტალონებით ვარსებობთ, სანახეგროდ დანგრეულ და დამპალ ბარაკში ვცხოვრობთ. თქვენ აღმოთქვამთ ფულს, რათა თოფქვეშ დავდგე და დავიცვა ისინი, ვინც მეფურად ცხოვრობს, მაშინ როდესაც ჩვენი ყოფა ხიღატაკეზე უარესია. მე არ მჭირდება სამხედრო ფორმა და თოფი. მე სამუშაო მჭირდება!" ხოლო ავტომობილისტმა მუშამ ინ რა უთხრა პრეზიდენტს: „მე ოცი წელიწადი თავს ვიკლავდი „კრაისლერში" მუშობით. ახლა გამომბაუნძულეს. უმუშევრობის დაზღვევაც მთავდება. ერთთავად მორიგი ჩეკის მოლოდინში ვარ და ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ არ მომივდეს. მაშინ არავის არ დაადგება კარგი დღე — არც მე, არც თქვენ".

„კრაისლერის" მუშის წინასწარმეტყველება ახდა: დღეს ისიც და პრეზიდენტიც უმუშევრები არიან. ეს კი, რომ პრეზიდენტი დახმარების ჩეკის მოლოდინშიშით არა კანკალებს. ვიდრე ცოცხალია, მას ექნება პენსია 69 630 დოლარის რაოდენობისა. შატასა და მსახურთა შესანახად, ერთი მილიონი — „საკმეთა ლიკვიდაციისათვის", აგრეთვე საოდუმლო სამსახურის უფასო დაცვა.

და მაინც პენსია არაა მთავარი პრეზიდენტისათვის. იგი ისედაც მილიონერია არაქისის ბიზნესის წყალობით. მთავარია — ძალაუფლების მწვერვალიდან ჩამოვარდნა, სამარცხვინო ჩამოვარდნა, არსებითად, იმპიჩმენტს (ეხე იგი ძალაუფლებისაგან ჩამოშორებას) რომ ნიშნავს. ამასთან შედარებით ხოლიდური პენსიაც კი გინდაც თხლის ხაყიდული ხურდა ფული ყოფილა. გვიან ღამით ვაშინგტონის ბოტელ „შერატონში" სიტყვით რომ გამოვიდა და თავისი დამარცხება აღიარა, კარტერმა თქვა: „მე პრეზიდენტობა მინდოდა იმიტომ, რომ მიყვარს ეს ქვეყანა და მიყვარს ამ ქვეყნის ხალხი". კარტერის სიყვარული *ძვირი დაუჯდათ ამერიკასა და ამერიკელებს. ეს სიყვარული არ ყოფილა ორმხრივი. ძალზე მალე მოპყვა გულგატეხილობა. არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ მის მიერ „სნეულად" გამოცხადებული ერის ყოველმა სეგმენტმა მის წინააღმდეგ მისცა ხმა. პროტესტანტებმა და კათოლიკებმა, ნამხრეთელებმა და ჩრდილოელებმა, მამაკაცებმა და დედაკაცებმა, ლურჯმა და თეთრმა საყელოებმა, დიდი ქალაქებისა და მიყრუებული პროვინციების მცხოვრებლებმა. მის წინააღმდეგ მისცა ხმა თვით დემოკრატიული პარტიის, ეგრეთ წოდებული „რუზველტის დიდი კოალიციის" — პროფკავშირების, ლიბერალების, თეორკანიანთა ეთნიკური უმცირესობის (ებრაელების, იტალიელების, პოლონელების და ა. შ.) მნიშვნელოვანმა ნაწილმა.

...ნისლიან დილას „ბუს-1" ჯორჯიაში ეშვება. კალენდარზეა 4 ნოემბერი, 1980 წლის მეთერთმეტე თვის პირველი სამშაბათი.

ჯერ კიდევ თვითმფრინავში, ვაშინგტონს რომ მიუახლოვდნენ, კარტერმა ბრძანა შესდგომოდნენ „დათმობითი სიტყვის", ეხე იგი კაპიტულაციის შედგენას. „მინდა კარგი სტილით წავიდე", — მიუგდო სიტყვა გახევებულ თანაშემწეებს და თავის სალონს მიაშურა.

საკვირველად წინააღმდეგობებით აღსავსედ გამოიყურებოდა ვაშინგტონი ფინიშისწინა დღეებში: ერთი მხრივ, წინასაარჩევნო ციებ-ცხელება, მეორე მხრივ, წინასაარჩევნო დამშლა. კონტრასტი საოცარია, მაგრამ სავსებით გასაგები. კაპიტოლიუმი გამოცარიელებული იყო — კანონმდებელნი ქვეყანას მოსდებოდნენ და თავგამოდებით იბრძოდნენ ხელახალი არჩევისათვის. მხოლოდ კარტერისა და რეიგანის შტაბ-ბინებში ბობოქრობდა ცხოვრება დღისითაც და ღამით. და კიდევ იგებოდა ტრიბუნები მომავალი წლის 20 იანვარს ჩასატარებელი ინაგურაციისათვის — ახალი პრეზიდენტი ოფიციალურად და საზეიმოდ დაიკავებს თანამდებობას.

გამალებულ წინასაარჩევნო ბრძოლაში მსხვილი საგელეკვანო ფირმა კომპანიებიც მონაწილეობდნენ. მეთელ ქვეყანაში მიმოფანტული 175 ათასი საარჩევნო პუნქტის მაჯისცემის გასაზომად საგელეკვანო გიგანტები ალეგზერვნენ ყველაზე უფრო სრულყოფილი ელექტრულ-გამომთვლელი მანქანებით.

...პრეზიდენტი არჩევნების მსვლელობას თვალს ადევნებდა თეთრი სახლის საცხოვრებელი პალატების მეორე სართულზე. ხმის მისაცემი მაჭანები უკვე ჩხაკუნობდნენ მეთელ ქვეყანაში, და დრამის მთავარი მონაწილეთ მის პასიურ მაყურებლად ჩამოეყენებინათ. იმედი აღარაფრისა იყო. არც სასწაულისა... არც „ხანოემბრო სიურპრიზისა". მძიმალთა პრობლემამ არ გასჭრა, უფრო მეტიც, მის საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა. 4 ნოემბერი — არჩევნების დღე — იმავ დროს იყო თეირანში ამერიკის ხალჩოს ხელში ჩაგდების ერთი წლისთავი. მაგრამ ამერიკას უკვე აღარ სჯეროდა განცხადებებისა, თითქოს კრიზისს მალე მოედებოდა ბოლო, და სამართლიანად ეეკვობდა, რომ ესაა მარტოოდენ პოლიტიკანობა; პრეზიდენტსაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ტელევიზორთან მჯდარიყო განაჩენის მოლოდინში.

...ტრადიციისამებრ პირველებმა უყარეს კენჭი დაბა დიხკვილ-ნოტჩის ნცხოვრებლებმა ნიუ-ჰემპშირში. ჩვიდმეტი ხმა მიიღო რეიგანმა, სამი — კარტერმა. ყინული დაიძრა, „ლენდ-სლიდ" — „ზვავი" — დაიწყო...

ენ-ბი-სი-ს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში კომენტატორთა ზურგუკან დაედგათ პლასტიკური მახეა და პლეკსიგლასისაგან გაკეთებული ოუკა ამერიკის შეერთებული შტატებისა. რუკაში ჩადგმული იყო 7824 ნათურა: წითელი ნათურები — კარტერისათვის, ლურჯი ნათურები — რეიგანისათვის, თეთრი ნათურები — ანდერსონისათვის. პირველად აინთო ინდიანას შტატი. ლურჯი ფერი. შემდეგ ფლორიდა. ისიც ლურჯი. შემდეგ მასხიანი. ისევ ლურჯი. ვირჯინია — ლურჯი. ოკლაჰომა — ლურჯი. ტეხასი — ლურჯი. კენტუკი — ლურჯი. ტენესი — ლურჯი... ჭაბუკანი ჯონ ჩენსელორი დაბნა კიდევაც. სამხრეთი — ტრადიციული ბასტიონი კარტერისა, „მისი ასპარეზი", ინგრეოდა რეიგანის შეტევებისაგან, ერთიანად ლურჯი ფერით იფარებოდა. ბოლოს გაუბედავად შეერია აწია წითელი ლაქა. ჯორჯიას შტატმა — პრეზიდენტის სამშობლომ — ხმა მისცა მას. პირველმა და უკანასკნელმა სამხრეთში. (წარსულ არჩევნებში 1976 წელს კარტერი სამხრეთში მხოლოდ ოკლაჰომასა და ვირჯინიაში დამარცხდა, 147 ამომრჩევლიდან 127 ხმა მიიღო.) ამჯერად ყველაფერი თავდაყირა დატრიალდა.

ჯონ ჩენსელორი წამდაუწუმ იხედებოდა რუკისაკენ და მოლად გაოგნებული იქნეოდა თავს. ლურჯი ნაკადი სწრაფად და დაბეჯითებით ეედებოდა შეერთებულ შტატებს ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე. შუა დასავლეთი — ოჰაიოდან სამხრეთ დაკოტამდე — ზურგს აქცევდა კარტერს. დასავლეთი, როგორც მოსალოდნელი იყო კიდევაც, კიდევად ედგა რეიგანს ზურგუკან. მარტოოდენ ჰავაია ხვდა კარტერს თავისი ოთხი ამომრჩევლის ხმით. და, დასასრულ, აღმოსავლეთი — დემოკრატთა ბაზა. ენ-ბი-სი-ს რუკაზე ის ცოტა რამით თუ განირჩეოდა დასავლეთისაგან, — იგივე ლურჯი ფერი ბოლდებოდა. ახე გასინჯეთ, პენსილვანიასაც, მასაჩუსეტსაც, კონექტიკუტსაც. ეგ კი არა, ნიუ-იორკის შტატსაც!

თეორი სახლის საცხოვრებელ ოთახებში მეორე სართულზე ხამრისებური ხიჩუმე გამეფებულიყო. პრეზიდენტს მკვდრის ფერი დასდებოდა. იგი ცდილობდა ირგვლივ მყოფნი დაერწმუნებინა, რომ თავს გრძნობს — ო, კეი...

ამასობაში კი ენ-ბი-სი-ს შტაბ-ბინაში შეერთებული შტატების რუკას უფრო და უფრო ედებოდა ლურჯი ფერი. მართალია, ეი-ბი-სი-ს ახეთივე რუკა წითელი ფერით იფარებოდა, მაგრამ ამაში ცოტა რამ იყო სანუგეშო პრეზიდენტისათვის. ეი-ბი-სი-ს ფერები გადადგილებული ჰქონდა: წითელი „რეიგანს" ნიშნავდა, ლურჯი — „კარტერს". ხოლო სიბი-ეს-ის არხით უოლტერ კრონკაიტი აცხადებდა: „მაერში რეიგანის გამარჯვების ხუნი ტრიალებს!"

თეთრი სახლის საცხოვრებელ ოთახებში მეორე სართულზე ლურჯითა და წითლით წამება აუტანელი შეიქნა. საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც პრეზიდენტმა განაცხადა, მზადა ვარ საჯაროდ ვალიარო დამარცხებაო. „მოდით, მოვიშოროთ ეს ტვირთი", — უთხრა მან პაუელს. პრეს-მდივანმა პირი დააღო. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა პრეზიდენტი, ცოტა ხანს მაინც მოეცადა, თუნდაც ყველა საარჩევნო უბნის დახურვამდე. რა თქმა უნდა, პაუელი სასწაულს არ ელოდა. მას პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებანი ამოძრავებდა: დასავლეთ სანაპიროზე ჯერ კიდევ გახურებული კენჭისყრა იყო, და პრეზიდენტის ნაადრეგ კაპიტულაციას დემოკრატ-ამომრჩევლების პარალიზება შეეძლო. მართალია, მათი ხმები თვით კარტერს ვეღარ გადაარჩენდა, მაგრამ მათ კიდევ შეეძლოთ ეშველათ მისი „პარტიული ბილეთისათვის" — იმ კანდიდატებისათვის, რომლებიც კენჭს იყრიდნენ აშშ-ს კონგრესში, შტატების საკანონმდებლო ორგანოებში. (შემდგომში გამოირკვა, რომ პრეზიდენტის ნაბიჯი მართლაც ძვირად დაუჯდათ კონგრესში გასაყვან მთელ რიგ კანდიდატებს დემოკრატიული პარტიიდან. ტელევიზიით რომ მოისმინეს კარტერის „დათმობითი სიტყვა", ბევრი მისი მომხრე შინ დარჩა).

მაგრამ პრეზიდენტს წვრილფეხობის დარდი არ ჰქონდა. ჩემს შემდეგ ქვა ქვაზეც ნუღარ დარჩენილაო. მას არ უყვარდა დემოკრატიული პარტია და მშვენივრად ესმოდა, რომ არც დემოკრატიული პარტია ჰკარგავდა ჭიუას მისთვის. კარტერს მიაჩნდა, რომ იგი თავისუფალი იყო დემოკრატიული პარტიის წინაშე რაიმე მოვალეობისაგან, და ამტომაც სრულიადაც არ გრძნობდა არავითარ აუცილებლობას, თამამუქები გაენაღდებინა. ოთხი წელი გაატარა ვაშინგტონში, და კვლავ დარჩა „ჯორჯიას მაფითი" გარშემორტყმული ატლანტიდერად.

ხოლო ენ-ბი-სი-ს შტაბ-ბინაში ლურჯი ნიაღვარი უსმმბლად ედებოდა ამერიკის შეერთებული შტატების რუკას. და აი, 8 საათსა, 15 წუთსა და 21 წამზე ჯონ ჩენსელორმა რეიგანი გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მეორმოცე პრეზიდენტად. „რეიგანმა გაიმარჯვა!" — გაიელვა ამ ახალმა ამბავმა ტელევიზორების ეკრანებზე.

კარტერი აღარ დაელოდა, ვიდრე მის აღსასრულს ხხვა არხებიც გამოაცხადებდნენ, ბრძანა მისალოცი დეპეშა გაეგზავნათ რეიგანისათვის ლოს-ანეელესში და განკარგულება გასცა მოერთმიათ ლიმუზინი, რათა გამგზავრებულიყო „შერატონში" საჯარო კაპიტულაციისათვის.

ათს ოცი წუთი აკლდა, როდესაც კარტერი შევიდა ბოტელ „შერატონის" სამეჯლისო დარბაზში. თითქოს დასცინიანო, ორკესტრმა დაიგუგუნა მარში „ბედნიერი დრო დაბრუნდა ისევ". კარტერს სიტყვის შემდეგ სამარისებური ხიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ხაპატიო ყარაულში დგანანო, ისე იდგნენ კაბინეტის წევრები და თანაშემწეები და თავპირი ჩამოსტიროდათ. ბუენოსაიესაც კი მწუხარების გრიმასი ეფინა ხასიერ.

კარტერი გახდა პირველი ამერიკელი პრეზიდენტი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, რომელიც ცდილობდა ხელახლა აერჩიათ მეორე ვადით და გაეშვეს. მისი უახლოესი კომპანიონია — რესპუბლიკელი ბერბერტ გუვერი, რომელიც „თავმჯდომარეობდა" თეთრ სახლში ოცანი წლების დახასრულისა და ოცდაათიანი წლების „დიდი დეპრესიის" პერიოდში. საგულისხმო მეზობლობაა! კარტერი გახდა პირველი ამერიკელი პრეზიდენტი-დემოკრატი, რომელსაც წილად ხვდა ახეთივე ხვიერი გროვერ კლევლენდის შემდეგ, ეს-ეც მიღწევაა! კარტერი გახდა პირველი სამხრეთელი პრეზიდენტი ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამოქალაქო ომის შემდეგ, რომელიც ფარულად თვით სამხრეთელებმა. ამასაც მოხერხება უნდა! დასასრულ, კარტერი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მეხუთე პრეზიდენტი თანმიყოლებით, რომელმაც ამათუ იმ მიზეზებით ვერ შესძლო დარჩენილიყო ალმასრულებელი ძალაუფლების პირამიდის მწვერვალზე მისთვის კონსტიტუციით დაწესებული ორი სრული ვადის განმავლობაში. (კენედი თავდასხმის მსხვერპლი გახდა, ჯონსონს ბოლო მოეღო ვიეტნამთან ომმა, ნიქსონი უოტერჰეიდმა მოინელა, ფორდი — მისმა ექმმ). გასაოცარი ფაქტია, რომელიც ასახავს იმ სოციალურ-პოლიტიკურ უკმაყოფილებათა ძალასა და სიღრმეს, ამერიკა რომ მოუცავს!

როგორც წერს ცნობილი პუბლიცისტი ჰეინეს ჯონსონი, „ამომრჩევლებმა რომ ვიეტნეს ჩვენი პრეზიდენტების გამუდმებული ჩავარდნები, ეს როდია ნაყოფი სიბრძნის ანაზდეული გამოშუქებისა. უბრალოდ, პრეზიდენტის ძალაუფლების მითიური კვარცხლბეკის ბზარი სულ უფრო და უფრო ფართოვდება... რაღაც სერიოზულად ვერაა კარგად ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში. ქვეყანა მიდის რომელიღაც ახალ მიჯნასთან, მიდის ნერვიოზული და მოშლილი, ძალზე შეშფოთებული, შიშსა და პირქუშ წინათგრძნობებს აყოლილი". კარტერის ოთხწლიანმა მმართველობამ კიდევ უფრო გააფართოოვა მეტაფორული ბზარი, კიდევ უფრო გააღრმავა შიში და პირქუშო წინათგრძნობანი მილიონობით ამერიკელისა — გამართლებულნი და გაუმართლებელნი, რეალურნი, როგორც შიში ინფლაციისა და უმუშევრობისა, და გამოგონებული, როგორც შიში „ხაბეჭოური ხაომარი ხაფრთხისა".

...„შერატონიდან" რომ გამოვიდა, კარტერი ვერტფრენით გაემართა ქალაქგარეთ რეზიდენციაში — კემპ-დევიდში „ჭრილობათა მოსაშუშებლად".

„ვინ იყო იგი — წმინდა ფრანციცა ასიზელი თუ ცირკის იმპრესარიო ბერნამი?" — კითხულობს მიმომხილველი ჯოზეფ კრაფტი. არც ერთი და არც მეორე. იგი არ ყოფილა წმინდანი, თუმცა ბევრს ლოცულობდა, ერთგულად დადიოდა ეკლესიაში, ქადაგებებს კითხულობდა და, ახე გასინჯეთ, ითვლებოდა „მეორედ ნაშობ" ქრისტიანად, რომელსაც თვით ღმერთი „ეწვეოდა" ხოლმე. არც ცირკის იმპრესარიო ყოფილა, თუმცა ეუყვარდა სხვათა დასანახავად მარათონში სირბილი და ბოიკოტი გამოუცხადა ოლიმპიურ თამაშობებს მოსკოვში. იგი იყო შვილი თავისი კლასისა. შვილი და მსახური, შვილი — არა პირმშო, მეჩკვიდრეობის უფლების არმქონე, უმაიორატო, მსახური — არცთუ მაინცდამაინც მკვირცხლი. „მან ვერ მოიპოვა ადამიანთა ვერც გულები, ვერც ხმები", — წერს პუბლიცისტი ჯონსონი. როგორც თქმულა, რასაც დასთეს, ისეთს მოიმკიო.

ვერ მოიპოვა ნდობა ვერც თავისი მთავარი სამუშაოს მიმცემისა — მონოპოლისტური კაპიტალისა, რომელიც თავს არიდებს წმინდანებს და ზიზღით ეკიდება კლოუნებს, მეტადრე ისეთებს, რომელთაც არ შეუწევთ უნარი მისცენ ბრბოს პური და ხანახანი, რათა აღარ იფიქრონ ნამდვილ სადღეისო ჭირვარამზე.

ოდესღაც კარტერმა დაწერა ავტობიოგრაფია, რომლის სათაური იყო „რატომ არა საუკეთესო?". არასაუკეთესო საზღვაო ოფიცერი ვერა და ვერ გახდა საუკეთესო ამერიკელი პრეზიდენტი. ნიუ-იორკში რომ გამოდიოდა დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელმაც იგი პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელა, კარტერმა „განაცხადა: ახლა მე გაცილებით უფრო ბრძენი ვარ, ვიდრე ოთხი წლის წინათ ვიყავიო. მაგრამ მისი მმართველობის ოთხი წლის მანძილზე უბრალო ამერიკელებსაც მოემატათ სიბრძნე. ფასების ზრდის, ინფლაციის, უმუშევრობის პირდაპირპროპორციულად. კარტერის „სიბრძნე" ხელს არ აძლევდა არც მეპატრონეებს, არც ამერიკელ ხალხს, რაღა თქმა უნდა, სრულიად საპირისპირო მოზეზთა გამო. ამაშია მისი საშინელი დამარცხების მთავარი ფესვი. მავრი იძულებული შეიქნა წასულიყო. განა იმიტომ, რომ თავისი საქმე გააკეთა, არამედ იმიტომ, რომ უძლური გამოდგა, და „ლენდ-სლაიდმა" — ზვავმა — იგი თან ჩაიტანა.

სწორედ 1980 წლის 4 ნოემბერს, თითქოს დასცინიანო, ჯორჯიას შტატის გენეალოგიური ხაზოგადოების წევრებმა ჰარიროზერტსმა და კენეტ თომასმა გამოაქვეყნეს გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც კარტერი და ნიქსონი შორეული ნათესავები, მეეექვსე თაობის ბიძაშვილები ყოფილან. მაგრამ თავიანთი ბედით ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეერვიდმეტე და ოცდამეცხრამეტე პრეზიდენტები ღვიძლ ძმებს უფრო ჰგვანან. აქაური მიმომხილველები მკითხველს თავაზობენ იმ მიზეზებია კატალოგს, რამაც გამოიწვია კარტერის დამარცხება, და არც ერთს დამარცხებულისადმი თანგრძნობის ხიტყვაც კი არ დასცდენია. იგივე შეიძლება თქვას „ჭუჩიდან" მოხულ კაცზეც". კარტერი არც უყვარდათ და არც პატივს სცემდნენ. და ხალხის ასეთი დამოკიდებულება კარტერისადმი უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე მისი წინამორბედისადმი. ნიქსონისადმეც კი. კარტერს უწოდებენ მოარულ კომპიუტერს, რომლისთვისაც უცნოა ყოველგვარი ადამიანური გრძნობა, გარდა ფარისეულობისა, ღვთისმოსაობისა და ძალაუფლების წყურვილისა... „კარტერის რომანი ამერიკასთან ჩაშლილა", — ამბობენ ახლა ისტორიკოსები და ეკონომისტები. დიახ, უსიზარულო სიყვარულმა განსაზღვრა უნაღვლო განშორება, როგორც ერთ ცნობილ სახტიკ რომანსშია...

კარტერის დამარცხება არ გახლავთ მხოლოდ პირადად მისი ფიასკო. ამ დამარცხებამ ობიექტურად ახახა უფრო დიდი რამ. კარტერი არ გამხდარა „ხაუკეთესო", ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები აღარაა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, კაცობრობას რომ კარნახობს თავის ნება-სურვილს „ბაკს ამერიკან"-ის („ამერიკული მსოფლიოს") პირობებით. ისტორიის მსვლელობის შეჩერება არ ძალუძს არც ქრისტესმიერ ხალოსს პრეზიდენტ კარტერს, არც თვით ძია სემს.

...თავისი კაპიტულაცია რომ გამოაცხადა ბოტელ „შერატონის" სამეჯლისო დარბაზში, კარტერმა თქვა: „ოთხი წლის წინათ, პრეზიდენტი რომ გავხდი, მე შეგაპირდით, რომ არასოდეს არ მოგატყუებდით. და აი ახლაც კვლავ გეუბნებით მხოლოდ სიმართლეს — ძალზე მტკივნეულია წაგება". სამწუხაროდ, პრეზიდენტისთვისაც და ქვეყნისთვისაც ეს გახლავთ ერთ-ერთი მართალი განცხადება მის ძალზე ცოტა მართალ განცხადებათაგან. დიახ, წაგება მტკივნეულია, მაგრამ კიდევ უფრო მტკივნეულია აქედან დასკვნების გამოუტანლობა. აქ ბევრი რამ არის დასაფიქრებელი. არა მხოლოდ დამარცხებულისათვის, არამედ გამარჯვებულისთვისაც.

ვაშინგტონი
(ლგ. № 48, 1980).

ერთი ლიტერატურული ეპიზოდი

ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს და მრავალი რამ უკვე საცნობია. ეს ეხება ...

ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ ერთი უნგრული ლექსის თარგმანის ისტორია.

1867 წელს გაზეთ „დროებაში" (14. VII. № 28) გამოქვეყნდა ლექსი „ვენგრული სიმღერა" (ლეოპარდიდამ). ეს თარგმანი ანტონ ფურცელაძეს ეკუთვნის. მოგვიანებით იგი მწერლის ლექსებისა და თარგმანების კრებულში დაბეჭდა. ამ მეორე ვარიანტში გარკვეული ცვლილებებია შეტანილი, და სათაური უკვე ეწერს როგორც „უნგრული სიმღერა". მაგრამ მის ავტორად აქაც ლეოპარდია მოხსენიებული. ამრიგად, მკითხველს სჯერა, რომ ცნობილი იტალიელი ლირიკოსი ჯაკომო ლეოპარდი უნგრეთის ბედ-იღბლთან დაინტერესებული და ამას პოლიტიკური პათოსით გამსჭვალული ლექსიც კი უძღვნა. მაგრამ ლეოპარდის შემოქმედების საფუძვლიან გაცნობას მივუეგვართ დასკვნამდე, რომ ეს ნაწარმოები მისი დაწერილი არ ყოფილა. მაშ საიდანღა გაჩნდა მისი სახელი?

ანტონ ფურცელაძის მიერ გამოყენებული პირველწყაროს ძიებისას ჩვენ მივმართეთ ამ პერიოდის რუსულ პრესას. აღმოჩნდა, რომ უფრ. ნალში „რუსკოე სლოვო" (1865, № 1) ეს ლექსი დაბეჭდილია სათაურით „ვენგერსკაია პესნია", რომლის ავტორად დასახელებულია ლეოპარდი. თარგმანი ეკუთვნის ცნობილ მწერალსა და მთარგმნელს პ. ვეინბერგს.

მაშასადამე, ქართულ თარგმანში დაშვებული შეცდომა რუსულიდან გამომდინარეობს. მაგრამ აქ იბადება კითხვა: რამ გამოიწვია ეს შეცდომა და ვინაა ამ ლექსის ავტორი?

თუმცა ჯერ ორიოდე სიტყვით თვით ამ ლექსზე: იგი თოთხმეტტროფიანია და თავიდან ბოლომდე პატრიოტული ლულისკვეთებითა და ხამშობლისადმი ერთგულების იდეითაა გამსჭვალული. იგი იწყება ფრაზით: „იყავ უცვლელად ერთგული შენის ქვეყნისა", რომელიც რამდენჯერმე მეორდება ადამიანისათვის არაფერია ხამშობლოს სადარი, იგი მასთან მთლიანადაა დაკავშირებული. ქვეყნად არაა ისეთი ადგილი, „სადაც ნახავდე ალერსსა და სიყვარულსა ამგვარსა". მაგრამ ხამშობლოზე ფიქრი პოეტისათვის თავისუფლებაზე ფიქრის აღმძვრელია. მას აღელვებს და აწუხებს ხამშობლოს ბედი. მის წინაშე წარსულის მოგონებანი აღიძვრებიან. მრავალჯერ დაღვრილა ამ მიწა-წყალზე თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლი. ისინი მონობის უღელს ამსხვრევდნენ და მტრებთან ბრძოლაში ეცემოდნენ. პოეტი ისხენებს ხამშობლისათვის თავდადებულ გმირებს და რწმენას გამოთქვამს, რომ მათი ხსოვნა დაუფიწყარი იქნება. იგივ გულისფანცქალით გასცქერის მომავალს. მოვა კი სანუკვარი თავისუფლება? თუ არ მოვა, ქვეყანა დაიღუპება. თუმცა, პოეტი იმედს არ კარგავს. მას სჯერა, რომ „ოვალენ ის დღენი, რომელთაც მოველთან ახრე გულცხარეულ". ამისათვის სულის სიმტკიცე და ხამშობლისადმი ერთგულება მართებს ადამიანს.

ლექსის შინაარსი გვიჩვენებს, რომ იგი უნდა ყოფილიყო დაწერილი უნგრელის მიერ, რომელიც განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური მომხრე იყო.

და მართლაც, ლექსის ავტორია XIX საუკუნის უნგრელი პოეტი მიხაი ვერეშმარტი (1800-1855). თავისი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდობასთან; მოგვიანებით აღფრთოვანებით შეხვდა 1848 წლის რევოლუციას და რევოლუციური პარლამენტის დეპუტატად იყო არჩეული.

ვერეშმარტი იყო პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი — უნგრული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი პოემები, დრამები, ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მისი პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს სწორედ ზემოხსენებული ლექსი, რომლის სათაურიც ორიგინალ